



# ლიცენზირებული საშუქი



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ დამატება  
№10, 1 ნომბერი, საშუაბათი, 2022 წელი



საშურის მე-5 საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლის ელენე ნეფარიძის შემოქმედება



### მკვლელი შადრევანი

„ვაკის პარკში“ ოქტომბერი იდგა... არაფრით გამორჩეული დღე ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევდა თვეს, რათა კალენდრის სიუხვით დახუნძლულ დღეთა სიმრავლე დასასრულისკენ მიეყვანა...

შემოდგომის ფერთა სიუხვით ნაფერადები არემარე მოხუცი მხატვრის მოლბერტს ჰგავდა – ყველასგან მივიწყებულს, მარტოობა რომ შეეკედლებინა სულის ქონში და რუდუნებით გადმოედინა მოლბერტზე უკანასკნელი სინითლე წვეთად. ვინ იცის, იქნებ, ამ შემოდგომით, ფერთა საუცხოო შეფერებითა და უთქმელი სევდით სავსე, ტილოზე ანგელოზს ხატავდა? – ცის მიჯნისკენ გამალებით მფრინავს, რომელსაც სული ფრთებით ეცვალა და ჯიუტად მიინევდა მარადიული საუფლოსკენ. ამინდიც საგრძნობლად თბილი იყო. თითქოს მზის სხივებს ბრძოლა გაეჩაღებინათ, არ ეთმობოდათ სიკაშკაშე და ჯიუტად ებრძოდნენ შემოდგომის შეციებულ ავდრებს. დარს აყოლილი ადამიანებიც, ბაღში გულთბილად მომლოდინენი ეგებებოდნენ გამარჯვებულ მზის სხივებს. შემოდგომის ფერებით მოსილ არემარეს სიხალისე დასტყობოდა. ბავშვების ყრიაშულს მოეცვა ირგვლივ ყოველივე... თამაშში გართულნი სიცილ-კისკისით იკლებდნენ ბაღს...

ბაღის შუაგულში კი, თავმომწონედ მდგარი, წყლის დედოფლად წოდებული შადრევანი გრაციოზულობით იზიდავდა იქ შეკრებილთ. მოცეკვავე დედოფლის ვენებიდან რიგ-რიგობით, ხანაც, მწყობრად ამოჩქეფდა წყლის ნაკადი და ქვის კაბას უკლებლად ევლებოდა. მის სიახლოვეს მუდამ ინტერესით ტრიალებდნენ ბავშვები, რომლებსაც ბავშვური მიამიტობით სურდათ, დედოფლის ცრემლდანამული გამხდარიყვნენ და მისი ვენებიდან ნადენ სისველეს არ უფრთხოდნენ. გადარეული, უბგეროდ მოსაუბრე ძაღლებიც კი, სიცხისგან თავდასაღწევად ხტებოდნენ დედოფლის კალთაში და განუწულ-გალუმპულნი, ტანის ფრთხილით კვლავ მზეს ეფიცებოდნენ.

იმ დღესაც „წყლის დედოფლის“ გარშემო უხვად იყვნენ შემოკრებილნი სტუმრები, დარიც მშვენიერი იდგა...

- აუ, გთხოვ რა, აქაც გადავიღოთ სურათი.
- შადრევანთან?
- კი, და მერე მეც წამოგყვები კორტებზე.
- დავაგვიანებთ და, ხომ იცი, როგორ ბრაზდება მასწავლებელი, შენ არაფერს გეტყვის, ისევ მე მომადგება და დაინწყებს:
- სად იყავი? რატომ აგვიანებ? ახალ ჩოგანს თლიდი? – და ასეთ სისულელეებს. ხომ იცი, როგორც ამბობს ხოლმე.
- კარგი რა, თქვას. პირველად ხომ არ აგვიანებ.
- კარგი, ჰო...
- ნახე, ცუგა...
- მეც მომადგები, რაა.
- ნახე, რა საყვარელია...
- რაო, რას იყეფები? რა გინდა? – თამაში?
- აუ, გადამიღე რა, ცუგასთან ერთად.
- ოღონდ, მერე მეც მიინდა.
- კი, აბა რას ვიზამ.
- ცოტა მალე, ძლივს ვაკავებ.
- აჰა, ახლა მეც.
- კარგი, მოდი.
- აუ, მალე, სულ გამლოკა ამ სულელმა!
- წამო, ბაქსი! ბავშვებო, გამოუშვით.
- ჩვენ კი ვუშვებთ, მაგრამ არ მოდის.
- ალბათ მოეწონა თქვენთან თამაში. ბაქსი, ბაქსი... მოდი ჩემთან!
- ნახვამდის, ბაქსი!
- ნახე, დაიყეფა.
- დაგვემშვიდობა.
- რა საყვარელია, არა?

- კი, ძალიან.
- იცი, რომ კორტებზე ვაგვიანებთ? უკვე იქ უნდა ვიყო და ვვარჯიშობდე.
- კარგი რა! ხომ იცი, მაინც აისრულებ ოცნებას და „უიმბლდონზეც“ გახვალ.
- ბაქსისთან და შენთან თუ გადავყევი თამაშს, კი, აუცილებლად მოვიგებ „უიმბლდონსაც“!
- რა იყო ახლა ეს?
- კარგი, ჰო, ვიხუმრე. ხომ იცი, როგორ მიყვარხარ.
- მეც, მაგრამ მწყინს ასეთი ხუმრობა.
- გპირდები, რომ უკანასკნელი ხუმრობა იქნება...
- ჰოო?
- მოდი, ახლა ჩაგეხუტები.
- არ მიინდა.
- აბა რა გინდა? მითხარი და გავაკეთოთ.
- სურათის გადაღება...
- კარგი, მოდი, გადავიღოთ, მაგრამ მერე წავიდეთ, იცოდე.
- შადრევანში...
- რაა?!
- რა და შადრევანში. რა იყო? რა გაგიკვირდა?
- გაგიჟდი ხომ? ოქტომბერია!
- მერე რა? თბილა. თან მზეა და მალე გავშრებით. გთხოვ, გთხოვ, გთხოვ!
- კარგი, კარგი...
- წყალიც რა თბილია! შენ კიდევ გაიძახი, რომ ოქტომბერია!
- გადამიღე?
- კი.
- ახლა შენ ჩამოდი და მე გადაგიღებ ფოტოს.
- შენ რომ ვინმეს ჩააცივდები, მორჩა რა!
- ცოტა უკან დაინიე, აი, წყალი რომ ამოდის, ისე გამოჩნდება, რომ თითქოს შენ უშვებ წყალს და სურათიც ძალიან მაგარი გამოვა!
- ცოტა კიდევ...
- ცოტაც...
- ჰა, ჰა, ჰააა, ფეხი აგისრიალდა? ადექი...
- ...
- მარიტა, ნუ ხუმრობ, ადექი!
- მარიტა!
- ღმერთო, მოვიღვარ, მარიტა!!!
- ხალხო, გვიშველეთ!!! ბავშვები არიან წყალში! იხრჩობიან!!! გვიშველეთ, ადამიანებო! – ბოლო ხმაზე გაჰყვიროდა ამბავს შესწრებული მოხუცი ქალბატონი.

შადრევნის ირგვლივ ხალხი შექუჩდა. რას არ ეცადნენ, როგორ არ ებრძოდნენ სიკვდილს, მაგრამ ვერაფრით გამოგლიჯეს ხელიდან გოგონა. გულსაც უგულობით შეენყვიტა რითმული ცემა და სულიც ანგელოზად გადაქცეულიყო.

მორჩა... მიიცვალა ნორჩი სხეული. წამის წინ სიცოცხლის მგრძნობი, მფეთქავი გული! ბავშვური სიხალისით აბრიალებული თვალნიც სამარადჟამო ძილისთვის დახუჭულან...

„ვაკის პარკში“ შემოდგომა იდგა... დღე წყეული! დღე შეუბრალებელი! უკანასკნელი! ის, ერთადერთი წვეთი, შეწყვეტილი სუნთქვასავით სისხლისფრად შერჩენოდა მხატვრის მოლბერტს...

... და ირხეოდა ბაღის შუაგულში ბაღის მშვენიერად აღიარებული მკვლელი „წყლის დედოფალი“. ადამიანთა უმეცრებით, დაუდევრობითა და უსულგულობით შეცდენილი „მონარქი“, რომლის ვენებიდან გაავებული ინთხეოდა სიკვდილის გესლი!

„ვაკის პარკში“ ოქტომბერი იდგა და ნორჩი ანგელოზის ზეცად ამაღლებას სინანულს აყოლებდა მეგზურად...

ალექსანდრე კაკიაშვილი



# მ ა რ ი ც ა ს ს ს ო ე ნ ა

## თავის მოკვლა გადავწყვიტე...

საქანელები გავაჩერე, დავწყვიტე თოკები, დავამტვრიე სკამები, არ დავსვი არც ერთი პატარა და სიხარული გავაჩერე...

თავის მოკვლა გადავწყვიტე...

ახლა სხვა თოკი ავიღე და გავწყვიტე, ჯერ ერთი ბოლო გამოვადრე ამ განწყვეტილი გრძელი თოკიდან, მერე მეორე, მესამე და ისე დავშალე, რომ აღარ გამოდგა იმ ხეზე ჩამოსაკიდად, რომელიც იდგა და მელოდებოდა...

თავის მოკვლა გადავწყვიტე... და შიმშილი დავიწყე!

ისედაც ცარიელი იყო სახლი, არ მექონდა საძებნელი შიმშილი, მაგრამ გაზაფხული დადგა, აყვავილდა ადამის ფესვი და დაისხა სიმაძღრის ფოთლები. არ გამოდგა შიმშილი კარგი იარაღი თავის მოსაკლავად... ისედაც, შიმშილია ირგვლივ-მეთქი და გავჩერდი.

თავის მოკვლა გადავწყვიტე... და წიგნები დავიწყე!

ვიფიქრე, ამ კოცონზე დავიფერფლები, მაგრამ ჭკუა შემმატა წიგნებმა და დავრჩი ისევ ცოცხალი...

თავის მოკვლა გადავწყვიტე... და ვიფიქრე, მაღალი სართულიდან გადმოფრინდები-მეთქი, მაგრამ ანგელოზმა შემაშველა ფრთები და არ მომცა მინაზე დანარცხების საშაულება...

თავის მოკვლა გადავწყვიტე... და შადრევანში გადავეშვი, მაგრამ მე ისევ ცოცხალი ვარ, ის კი – მკვდარი!..

... ახლა სდუმან საქანელები...

სახლების კედლებიდან ისევ ცივი იყრება ქვები. წყლის წვეთი გულს ჰყოფს დაშლილ მამრავლად, სიკვდილ-სიცოცხლის სამაუწყებლოდ.

ჯერ გვიანია, ან ისევ დროა, ან იქნებ... ძალზე ადრეა ეს, თავის მოკვლა...

და მაინც, მოკვდი და აღარ დავრჩი მე – სიცოცხლის მაძიებელი და მოყვარული ამ მზის და მთვარის, ამ ცის და ბარის, ჩემი ქვეყნის და ჩემი სახლის...

ტკივილით მკვდარი, ისევ აქა ვარ, დღეს, ცოცხალ-მკვდარი...

## ინგა გოგიბერიძე

## გთხოვ, ბედისწერავ...

ნეტარი წამი ვინ წაგართვა გაუშლელ კოკორს, ვით არ გაცალა ბედისწერამ შენ დაქალება!.. სიცოცხლის წყარო ვინ დაგიშრო პატარა გოგოს, ვით გაგიტაცეს უღმობელად ავმა ქარებმა! გულგანგმირული, მომტირალი შენი ქალაქი დაგტირის, როგორც მშობელი დედა, თითქოს დანაღმეს საცალფეხო ბილიკ-ალაგი, ბინდისფერია დღე მიმწუხრის, თავს იკლავს სევდა!.. პატარა გოგოვ, შვლის ნუკრივით თვალებმზიანო, მინა გიმზადებს ყორნისფერ საბანს, გთხოვ, ბედისწერავ, ბავშვები არ დაგვიზიანო!!! გაუსაძლისი წამ-წუთები გულს გვიკლავს, გვძაბავს... შესუდრულია ვაკის პარკი, შენი ალაგი, დაფარფატებდი, ვით პატარა, ჭრელი პეპელა... დამწუხრებულა შენზე დარდით თბილის-ქალაქი და შენს ქალაქში, ვით ჩასული მზე, ისე ელავ! პატარა გმირო! თავგანწირვაც სიცოცხლის ფასად შესძელ და უკვე უკვდავების დაიდგი ძეგლი, თითქოს ცრემლები დასცვივდა ცასაც და ჰგვრის ჟრუანტელს ტკივილი დელგმის! გული წასვლიათ ტოტზე მიმსხდარ პატარა ჩიტებს, თვალი ნამული რომ ამარიდა, თურმე, სამყარო რამდენ ტკივილს და სევდას იტევს... ყველა ჩვენგანის ტკივილი ხარ, ქორფა მარიტა!

## მიმოზა ცანავა

## გამოსათხოვარი


დღეს მარიტას დამარხავენ, მინა როგორ გაუძლებს!.. ჩოგანი და ჩოგნის ბურთი სასახლეში ჩაუნყეთ... რა საჩქაროდ ამგზავრებენ, ნეტავ, ვინ ელოდება?! და მწარობენ წინაპრები სასაფლაოს ლოდებთან... ცრემლი, ცრემლი, კიდევ ცრემლი, დიდი ცრემლი გორდება და კორტებზე მარი-გოგოს ნაფეხურზე გროვდება... დღეს ანგელოზს დამარხავენ, მინამ როგორ გაუძლოს?! ცას შეასკდა თეთრი მტრედი ანგელოზთა საუფლოს... დღეს ანგელოზს დამარხავენ, ღმერთო, გული რას უძლებს!.. ჩოგანი და ჩოგნის ბურთი სასახლეში ჩაუნყეთ...

## თინათინ ჭყუია

ი. ა.

ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი  
ნუკრის თვალებით, თმით – მიმოზებით...  
და მწუხარების მალე ნიავეში  
მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები.  
შეშლილი სახით კივოდა ქურჩა,  
შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა!  
მზეზე ჰყვავოდა სოფლად ალურჩა,  
და გაისმოდა დების სიმღერა.

## გალაკტიონ ტაბიძე





# რ ე გ ი ო ნ ი

## ბათუმი – მუზეუმების ქალაქი

სსიპ აჭარის მუზეუმის შემადგენლობაში 7 მუზეუმი შედის, სადაც მუდმივად საინტერესო აქტივობები, გამოფენები და შეხვედრები ტარდება.



მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს, აჭარის ხელოვნების მუზეუმში საერთაშორისო გამოფენა – „რობერტ კაპას ობიექტივში“ დაიხურა, რომელიც ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა და, რომელსაც აჭარის ხელოვნების მოყვარულების გარდა, ხაზურის საკრებულოს წარმომადგენელი ქალბატონები – მაკა დიდებულიძე, ირინე გოცირიძე და თათია ბროლიძე ესწრებოდნენ.



„საოცარ სამყაროში ვმოგზაურობთ, ორი დღეა!  
ბათუმის უმდიდრესი მუზეუმებით გაოცებული ვარ! ერთმანეთს ჰარმონიულად შერწყმული თანამედროვე ტექნოლოგიები და რატიტეტები IXX საუკუნიდან XXI საუკუნის ამბებითა და ისტორიებით გამოგნებელ გარემოს ქმნიან!  
ბათუმი – ევროპული ყაიდის ქალაქი, ზღვით, სიქათქათით, ლურჯი ცით, ისტორიული მემკვიდრეობითა და უთბილესი ადამიანებით!  
რობერტ კაპას ობიექტივიდან კი ომისდროინდელი მსოფლიო გავიცანით.  
შთაბეჭდილებებით და გამოცდილებით დატვირთულები ვბრუნდებით ხაზურში იმ იმედით, რომ ჩვენი ბათუმელი კოლეგების გამოცდილებას გავიზიარებთ!“ – წერს მისი სოციალური ქსელის გვერდზე ქ-ნი მაკა დიდებულიძე.  
ხაზურ-ქალაქსა და მის ინტელიგენციასთან წლების განმავლობაში ჩემი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაკავშირებს – პროფესიული თუ პირადი, მეგობრული ურთიერთობები. არაერთი საინტერესო, ერთობლივი პროექტი განხორციელდა ხაზურელ კოლეგებთან და შემოქმედ ადამიანებთან ერთად, ჩემი აჭარის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელობის წლებში და ამჟამად, ი. ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმში.  
ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება ჩვენი ტრადიციად ქცეული თანამშრომლობა.

10 ოქტომბერს სსიპ აჭარის მუზეუმის მონვევით, ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმში პოეზიის საღამო გაიმართა – პოეტ ეკა ბაქრაძეს შევხვდით – ქალბატონს, რომელიც 10 წლის ასაკში გაიცნო და შეიყვარა მთელმა საქართველომ, თავისი მართალი და ლამაზი პოეზიით.

ბათუმში წვიმა არავის უკვირს, მაგრამ იმ დღეს მართლაც, ხელოვნებისა და პოეზიის წვიმიანი ამინდი იდგა.

1986 წელს პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე წერდა:

„ტალანტის, ნიჭიერების უამრავი საკვირველება გავგივია მეცნიერებასა თუ ხელოვნებაში, მაგრამ ჭკმმარიტი პოეზია, ელვარე ნიჭიერებასთან ერთად, სიტყვასთან ჭიდილის დიდ გამოცდილებასაც მოითხოვს და აი, ათი წლის ეკა ბაქრაძეს ეს გამოცდილება გააჩნია. საიდან, როგორ!

– მე არ ვიცი საიდან, როგორ, რატომ და რისთვის გესაუბრებითო!

– ათი წლის გოგონა, ათი წლის ბავშვი!

მეც არ ვიცი, რა დავარქვა ამ მოვლენას! ოდესღაც მას „ღვთაებრივ ინსპირაციას“ ეძახდნენ. წაიკითხეთ, წაიკითხეთ ეს ლექსები!“



დაიხ, ათეული წლების მანძილზე ვკითხულობდით და ვისმენდით ამ საოცარ პოეზიას.

10 ოქტომბერს, მუზეუმში, უკვე ზრდასრულმა ქალბატონმა, გონიერებით მოხიბლა ბათუმის საზოგადოება და მონვეული სტუმრები: ეკას მეგობრები, თანაქალაქელები, თანამედროვე მწერლები.

მოულოდნელი სტუმრობით გაგვახარა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის დირექტორმა გიზო თავაძემ.

**ინგა გოგიბერიძე –**

სსიპ აჭარის ი. ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმის დირექტორის მოადგილე